საგარეჯოს

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის

გზამკვლევი

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას და წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს და ის არ მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ფინანსური ინფორმაციის გარდა ბიუჯეტში აღწერილია ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლის შესრულებასაც მუნიციპალიტეტი გეგმავს შესაბამისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით.

იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს,

როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

მოქალაქეებს გაქვთ უფლება!

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების ეტაპზე 1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე	ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე	ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე 1 იანვრიდან
• ჩაერთოთ საჭიროებათა გამოვლენაში; • მონაწილეობა მიიღოთ პრიორიტეტების შერჩევის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში; • დაესწროთ საჯარო შეხვედრებს; • მოამზადოთ და საკრებულოში წარადგინოთ პეტიცია; • წერილობითი ან ზეპირი ინიციატივით მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და მოითხოვოთ ბიუჯეტში თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება;	• გაეცნოთ მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს; • მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის საჯარო განხილვებში და შეკითხვით მიმართოთ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს; • დაესწროთ ბიუჯეტის განხილვის პროცესს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიებში;	• მონიტორინგი გაუწიოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვას და გამოითხოვოთ საჭირო დოკუმენტები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან; • გაეცნოთ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს; • დაესწროთ მერისა და საკრებულოს დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებას;

ტერმინთა განმარტება

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

დაზუსტებული ბიუჯეტი –კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

ასიგნება – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

პრიორიტეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;

პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

ქვეპროგრამა – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა;

პროფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე;

დეფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.

რა არის ბიუჯეტი?

ბიუჯეტი არის განსაზღვრული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს და ის არ მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ფინანსური ინფორმაციის გარდა ბიუჯეტში აღწერილია ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლის შესრულებასაც მუნიციპალიტეტი გეგმავს შესაბამისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით. პრიორიტეტის დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

საბიუჯეტო პროცესი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

საბიუჯეტო ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით

ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული



ერთი საბიუჯეტო ციკლი მომზადებიდან დამტკიცების ჩათვლით 24 თვეს შეადგენს. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია) ყოველი წლის პირველი მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და

წარდგენის ვადები. არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აცნობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია 15 ნოემბრამდე საკრებულოს წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი. საკრებულო განიხილავს და შენიშვნების და რეკომენდაციების შემთხვევაში პროექტს უბრუნებს მერიას 25 ნოემბრამდე. შესწორებულ პროექტს მერია საკრებულოს უგზავნის 10 დეკემბრამდე. წლის ბოლომდე მტკიცდება ბიუჯეტი. მომდევნო წლის განმავლობაში ხდება ბიუჯეტის დაზუსტება და კვარტალური ანგარიშგება. საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ მერია ვალდებულია 2 თვის ვადაში საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

2024 წელი

• მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი

1 მარტი

- მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები
- სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებაზე

15 მარტი

- სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გაუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.

1 ივნისი

- სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).

1 ივნისი -1 აგვისტო

- სამუშაო ჯგუფი არჩეული პრიორიტეტის ფარგლებში (შესაძლებელია პრიორიტეტი არ დაკონკრეტდეს) აცხადებს მოქალაქეებიდან ახალი ინიციატივების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვე-პროგრამებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, პროცესის მეთოდოლოგიისა (აქ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამოქალაქო ბიუჯეტირება) და ვადების მითითებით

5 აგვისტო

- საფინასო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადადებას ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.

5-25 ოქტომბერი

- საფინანსო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს

15 ნოემბრამდე

- თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად წარუდგენს საკრებულოს.

31 დეკემბერი

- საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმი შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობას.

საკრებულოს ბიუჯეტის დასამტკიცებლად წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

1. ბიუჯეტის პროექტი;

2. ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;

3. პრიორიტეტების დოკუმენტი;

4. პროგრამული დანართი რომელიც მოიცავს თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერას, მოსალოდნელ შედეგებს და შედეგების შეფასების ინდიკატორებს;

5.მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი ა.(ა).ი.პ.-ების და შ.პ.ს.-ების 2024 წლის შემოსულობებისა და ხარჯების შესახებ;
6. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე (2022 და 2023 წლები), ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში (დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2024-2027 წლები) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე.

პრიორიტეტის დოკუმენტი სამი თავისგან შედგება.



ბიუჯეტის სტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2024 წელის ბიუჯეტში არის ინფორმაცია 2022 და 2023 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგება 4 თავისგან

- პირველი თავი შედგება შემდეგი მუხლებისგან:

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი;

ამ მუხლში მოცემულია მთელი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია:

- ✓ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის რა სხვაობაა (საოპერაციო სალდო);
- ✓ არაფინანსური აქტივების ცვლილება რამდენია (მუნიციპალური ქონების შექმნისთვის დახარჯულ თანხასა და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას შორის სხვაობა);
- ✓ მთლიანი სალდოს მოცულობა, ანუ ბიუჯეტი პროფიციტულია თუ დეფიციტური. ეს კი იანგარიშება საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება;
- ✓ შემდეგ გამოითვლება ბიუჯეტის ბალანსი - გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების (მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ახალი ვალის მოცულობას გამოკლებული ძველი ვალის დასაფარად გათვალისწინებული ძირითადი თანხა) მაჩვენებელი.

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი იქნება ბიუჯეტის:

- ✓ შემოსულობები: შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების ზრდა;
- ✓ გადასახდელები: ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების კლება;
- ✓ ნაშთის ცვლილება: ნაშთი არის ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი, ხოლო ნაშთის ცვლილება არის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის შესახებ:

- ✓ გადასახადები;
- ✓ გრანტები
- ✓ სხვა შემოსავლები;

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები:

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვა ბიუჯეტში შემდეგი გადასახადებიდან:

- ✓ ქონების გადასახადი;
- ✓ დღგ;

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვა ბიუჯეტში გრანტებიდან:

- ✓ საერთაშორისი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები;
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები: მიზნობრივი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები;

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვა ბიუჯეტში სხვა შემოსავლებიდან, როგორიც არის:

- ✓ პროცენტი;
- ✓ რენტა;
- ✓ მოსაკრებლები;
- ✓ ჯარიმები, საურავები და სხვა

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით:

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რა თანხაა გათვალისწინებული წლიურად გასაწევი ხარჯებისთვის, როგორიც არის:

- ✓ შრომის ანაზღაურება;
- ✓ საქონელი და მომსახურება;
- ✓ სუბისდია;
- ✓ პროცენტი;
- ✓ გრანტი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა;
- ✓ სხვა ხარჯი;

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების შესახებ:

- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა - ქონების შეძენა და კაპიტალური პროექტების განხორციელება;

- ✓ არაფინანსური აქტივების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ ქონების (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი, მიწა) გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები.

მუხლი 9. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტიდან ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდაზე ერთად რამდენი იხარჯება ფუნქციონალურ ჭრილში: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (7.1); თავდაცვა (7.2); ეკონომიკური საქმიანობა (7.4); გარემოს დაცვა (7.5); საბინაო-კომუნალური მეურნეობა (7.6); ჯანმრთელობის დაცვა (7.7); დასვენება, კულტურა და რელიგია (7.8); განათლება (7.9); სოციალური დაცვა (7.10).

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდოს მოცულობის შესახებ.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია თუ რა თანხა დაიხარჯება ბიუჯეტიდან ფინანსური აქტივების ზრდაზე და რა თანხა შემოვა ბიუჯეტში ფინანსური აქტივების კლებიდან:

- ✓ მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივი იზრდება როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას;

- ✓ ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების (ვალუტა და დეპოზიტები, მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა, აქციები და სხვა კაპიტალი) გამოყენებიდან მიიღება, არის შემოსულობა ფინანსური აქტივის კლებიდან;

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია რამდენ ვალს იღებს მუნიციპალიტეტი და ძველი ვალიდან რა თანხას ფარავს.

- ✓ ვალდებულებების ზრდა - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის (საგარეო და საშინაო) აღების შედეგად აქვს. მუნიციპალიტეტს სესხის აღება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით შეუძლია;

- ✓ ვალდებულებების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

- ➢ ბიუჯეტის მეორე თავში მოცემულია პრიორიტეტების, პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები და მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები, ხოლო შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) კი მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის

დანართში, რომელიც თან ახლავს ბიუჯეტის პროექტს, თუმცა არ მტკიცდება საკრებულოს მიერ.

მუნიციპალიტეტების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ✓ ინფრასტრუქტურის განივთარება (პროგრამული კოდი 02 00);
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00);
- ✓ განათლება (პროგრამული კოდი 04 00);
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00);
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00);
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

➢მესამე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ. ეს ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

➢ ბიუჯეტის მეოთხე თავში კი წარმოდგენილია ინფორმაცია მარეგულირებელი ნორმების შესახებ. კერძოდ, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესახებ. 2024 წელს ფონდის მოცულობა 645,0 ათასი ლარია. ასევე მოცემულია ინფორმაცია მიზნობრივი ტრანსფერის შესახებ და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №385-ის მიხედვით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024 წლისთვის

❖ შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს ბიუჯეტის შემოსულობებს წარმოადგენს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი 2024 წლისთვის 32 676,7 ათასი ლარია, აქედან შემოსავლები 32571,7 ათასი ლარია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 105,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელა 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება,



ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

❖ შემოსავლები: გადასახადები (ქონების გადასახადიდან და დამატებითი ღირებულების გადასახადიდან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);

❖ არაფინანსური აქტივების კლება - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.

მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

✓ ძირითადი აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა)

✓ არაწარმოებული აქტივები (მიწა)

❖ ფინანსური აქტივების კლება - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენებიდან მიიღება.

კერძოდ, ფინანსური აქტივებია:

✓ ვალუტა და დეპოზიტები

✓ სესხები (მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა)

✓ აქციები და სხვა კაპიტალი

❖ ვალდებულებების ზრდა - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს.

კერძოდ, ვალდებულებებია:

➢ საგარეო ვალი

➢ საშინაო ვალი

■ შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყარო შემოსავლებია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებიდან 30186.31 ათასი ლარის შემოსვლა იგეგმება (მთელი შემოსავლების 92.4%), გრანტებიდან - 271.4 ათასი ლარის (მთელი შემოსავლების 0.8%), ხოლო სხვა შემოსავლებიდან - 2114.0 ათასი ლარის (მთელი შემოსავლების 6.5%).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის შემოსავლების სტრუქტურა ათას ლარში		
დასახელება	**თანხა**	**%**
გადასახადები	30186.3	92.4
გრანტები	271.4	0.8
სხვა შემოსავლები	2114.0	6.5
არაფინანსური აქტივების კლება	105.0	0.3
სულ	**32676.7**	**100.0**



2022-2024 წლებში მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლების დინამიკა შემდეგია:



➢ გადასახადები

გადასახადები შედგება:

- ❖ ქონების გადასახადისგან - 2024 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქონების გადასახადიდან 5750,0 ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი. ამ თანხას იხდიან როგორც იურიდიული და ისე ფიზიკური პირები.
- ❖ დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ) – 2024 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დღგ-დან 24436.3 ათასი ლარი შემოვა.

სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დღგ-დან 19 პროცენტი ნაწილდება მუნიციპალიტეტებს შორის.

გადანაწილება შემდეგი წესის მიხედვით ხდება:

✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის - 60%;

✓ 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის - 15%;

✓ 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის - 10%;

✓ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით - 10 %

✓ მუნიციპალიტეტის ფართობის - 5%;

ამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება თანხის მოცულობა მუნიციპალიტეტებისთვის. 2024 წელს მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დღგ-ს წილიდან 1,41%-ს, ანუ 24436.3 ათას ლარს მიიღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

- ## გრანტები

ბიუჯეტის მე-5 მუხლში მოცემულია ინფორმაცია გრანტების შესახებ.

მუნიციპალიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ტრანსფერებს.

სულ მუნიციპალიტეტი 3 სახის ტრანსფერს იღებს:

✓ მიზნობრივი ტრანსფერი - დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები, 2024 წელს დაგეგმილია 271,4 ათასი ლარი;

✓ კაპიტალური ტრანსფერი - გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად.

კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;

✓ სპეციალური ტრანსფერი - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის

კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

- ## სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის მე-6 მუხლში მოცემულია ინფორმაცია სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრების შესახებ. ესენია:

- შემოსავლები საკუთრებიდან: <u>პროცენტი</u> (კომერციულ ბანკში არსებული დეპოზიტიდან მიღებული პროცენტი); <u>რენტა</u> (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან);

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია: <u>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</u> (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ.); <u>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</u> (შემოსავლები მომსახურების გაწევიდან);

- ჯარიმები, სანქციები და საურავები: მათ შორის პატრულის მიერ დაწერილი ჯარიმები;

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - ისეთი სახის შემოსავლები,რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ შედის;

2024 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 2114,0 ათას ლარს შეადგენს. აქედან შემოსავლები საკუთრებიდან 1360,0 ათასი ლარია, საიდანაც 800,0 ათასი ლარი არის პროცენტიდან შემოსავალი, ხოლო 560,0 ათასი ლარი რენტაა, მათ შორის მოსაკრებელი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 500,0 ათასი ლარი, ხოლო შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 60,0 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კატეგორიიდან 104,0 ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი, მათ შორის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან - 45,0 ათასი ლარის, სანებართვო მოსაკრებელი 45,0 ათასი ლარი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 2,0 ათასი ლარი, ასევე არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან დაგეგმილია 12,0 ათასი ლარის მიღება.

სანქციები, ჯარიმები და საურავები დაგეგმილია 550,0 ათასი ლარი;

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები დაგეგმილია 100,0 ათასი ლარი.

➢ არაფინანსური აქტივების კლება

2024 წელს დაგეგმილია 105,0 ათასი ლარი, მათ შორის 20,0 ათასი ლარი შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან, 85,0 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან.

❖ მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა ბიუჯეტის გადასახდელებს წარმოადგენს, რომელიც იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები მოიცავს საჯარო მოხელეების ხელფასებს, კომუნალურ გადასახდებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და მოვლა შენახვის ხარჯებს და სხვა. ხოლო კაპიტალური ხარჯები გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების და სხვა მუნიციპალური ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და შეკეთების ხარჯებს. ასევე ბიუჯეტში განსაზღვრულია ნაკისრი ვალედებულებების (სესხის) დაფარვის ხარჯები. ხარჯების მიმართულებებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს თანხების ხარჯვა ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხმათა უმრავლესობით. ბიუჯეტის აღსრულება კი ხდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის მიერ.

მუნიციპალიტეტის ხარჯი

2024წლისთვის შეადგენს **₾ 32 676,7 ათასი**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის გადასახდელების სტრუქტურა ათას ლარში		
დასახელება	თანხა	%
ხარჯი	25646.6	78.5
არფინანსური აქტივების ზრდა	6976.8	21.4
ვალდებულებები	53.3	0.2
სულ	32676.7	100.0


არაფინანსური
აქტივების ზრდა -
6976,8-21,4%
ფინანსური
აქტივების ზრდა 0
ხარჯები-25646,6-
78,5%
ვალდებულებების
კლება 53,3-0,2%
გადასახდელები
32676,7



❖ ხარჯები: მიმდინარე გასაწევი ხარჯები;

❖ არაფინანსური აქტივების ზრდა - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ინვენტარის შეძენა (500 ლარზე მეტი ღირებულების);

❖ ფინანსური აქტივების ზრდა - მუნიციპალიტეტის მიერ სესხის გასცემა, ან დეპოზიტზე თანხის შენახვა;

❖ ვალდებულებების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა;

■ ხარჯები

მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით

N99 (05.04. 2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები:

✓ <u>შრომის ანაზღაურება :</u> მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასები, პრემია-დანამატი, კომპენსაცია;

✓ <u>საქონელი და მომსახურება :</u> შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება; მივლინება; ოფისის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკა - (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები და სხვა); საოფისე ავეჯი; შენობა- ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯები; კავშირგაბმულობის ხარჯები; საფოსტო მომსახურების ხარჯები; კომუნალური ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; მიმდინარე რემონტი; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა.

✓ <u>პროცენტი:</u> მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის მომსახურების პროცენტი საგარეო და საშინაო ვალდებულებებზე✓ <u>სუბსიდიები:</u> სუბსიდიები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ- ებისთვის და შპს-ებისთვის მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს;

✓ <u>გრანტი:</u> გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს. მაგალითად, სახელმწიფო ა(ა)იპ-ებისთვის;

✓ <u>სოციალური უზრუნველყოფა :</u> სხვადასხვა სოციალური დახმარება;

✓ <u>სხვა ხარჯები:</u> საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა

2024 წლის ბიუჯეტის ხარჯების წილობრივი მაჩვენებლები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით		
ხარჯის დასახელება	თანხა	%
შრომის ანაზღაურება	4319.7	13.22
საქონელი და მომსახურება	5585.0	17.09
პროცენტი	12.8	0.04
სუბსიდიები	12550.7	38.41
გრანტები	223.5	0.68
სოციალური უზრუნველყოფა	1975.3	6.05

სხვა ხარჯები	979.6	3.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	6976.8	21.35
ვალდებულებების კლება	53.3	0.16
	32676.7	100.00



2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიოროტეტები 2022- 2024 წლების მიხედვით



პრიორიტეტების დასახელება	თანხა	პროცენტი
ინფრასტუქტურა	10589.9	32,4
დასუფთავება და გარემოს დაცვა	2498.9	7,6
განათლება	5489.1	16,8
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4523.4	13,8
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2769.3	8,5
მმართველობა	6806.1	20,8
სულ ჯამი	32676.7	100.0



❖ **ინფრასტრუქტურის განვითარება**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 32 % გამოყოფილია ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 10589,9 ათას ლარს შეადგენს.

2022-2024 წლებში ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



2024 წლის ბიუჯეტის პროექტით, ინფრასტუქტურის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტის პროგრამები**	**10589,9**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5254,5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2833,9
02 03	გარე განათება	1800,0
0204	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	120,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	581,5

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

განხორციელდება შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთება, მათ შორის გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება, გზების ქვიშა - ხრეშოვანი მასალის მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, კერძოდ, განხორციელდება სოფლებში: პატარძეულში ე.წ."ნახალოვკის უბნის" გზის, შიბლიანში ე.წ."თუთუბიანის უბანში" გზის, ყანდაურაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, ნინოწმინდაში მე-9 და მე-10 ქუჩების მოასფალტების სამუშაოები, თანადაფინანსების გათვალისწინებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დასრულდება სოფელ ბადიაურში კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტების სამუშაოები.

წყლის სისტემების განვითარება

განხორციელდება სასმელი წყლის ჭაბურღილების შესაკეთებლად ამქაჩი ტუმბოების შესყიდვა, ს.კაკაბეთში მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციისთვის მილების შესყიდვა, აგრეთვე დაფინანსდება სასმელი წყლის ჭაბურღილებზე დახარჯული ელენერგიის ხარჯი. სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციას, კერძოდ, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, გარდა ქ. საგარეჯოსი, არსებული წყლის სისტემების სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლს ახორციელებს ა(ა)იპ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი.

გარე განათება

განხორციელდება გარე განათების ქსელის ექსპოლატაცია/მოვლა პატრონობა.

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია

განხორციელდება ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.

კეთილმოწყობა

პროგრამით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის, შენობების ფასადების რეაბილიტაციის, პროექტირების და საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის მომსახურების ხარჯები, აგრეთვე პროგრამაში გათვალისწინებულია საკადასტრო-აგეგმვითი

ნახაზების შესყიდვის, საპრივატიზაციოდ მომზადებული ობიექტების შეფასების და საიჯარო ქირის განსაზღვრის მიზნით საექსპერტო მომსახურების ხარჯი; 2024 წელს გათვალისწინებულია M3 კატეგორიის 4 ერთეული ავტობუსის შესყიდვა.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა**

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 7,6 % გამოყოფილია მუნიციპალიტეტის დასუფთავებისთვის, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2498,9 ათას ლარს შეადგენს.

2024-2027 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2498,9**
0301	დასუფთავება	2378,9
0302	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	120,0

დასუფთავება

მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 100%-ის წილის მქონე შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“ მთელი წლის მანძილზე დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით განახორციელებს ქ.საგარეჯოს და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების დასუფთავების და ნარჩენების შეგროვებას, განთავსების ადგილზე ტრანსპორტირებას და განთავსებას, სანიაღვრე არხების დასუფთავებას, ქ.საგარეჯოს სკვერების, პარკების, მოედნების და გამწვანების ზოლების მოვლა-პატრონობას, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ხეების მოჭრა-გადაბელვითი სამუშაოებს. აგრეთვე გადახდილ იქნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით 2024 წლის საწევრო გადასახადი.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება

განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობაის სამუშაოები.

- **განათლება**

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 17 % გამოყოფილია განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 5489,1 ათას ლარს შეადგენს.

2024-2027 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



04 00	**განათლება**	**5489,1**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5087,4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	130,0
04 03	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება	271,7

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 საბავშო ბაღი, სადაც რეგისტრირებულია 1200 აღსაზრდელი, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სახელმწიფო დაფინანსებიდან მიღებული ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება საბავშვო ბაღების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლე ახალგაზრდებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი ტექნიკური და მოქალაქეობრივი მიდრეკილების

განვითარება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების გამოვლენა და წახალისება მუნიციპალიტეტის, რეგიონის, საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით. კომპაქტურად დასახლებულ არაქათულენოვანი მოსახლეობის ქართული ენის , კულტურის, ტრადიციების და ისტორიის შესწავლა. საგარეჯოელი მოსწავლე/ ახალგაზრდების განათლების ამაღლების და ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა; საგარეჯოელი მოსწავლეების საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტ „დიდგორელში“ მონაწილეობის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო სფეროში ღვაწლმოსილი ადამიანებისთვის ,,მასწავლებლის დღის'' მილოცვა; საჯარო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების ფულადი ჯილდოთი *წახალისება,* გარემოს დაცვის ღონისძიების უზრუნველყოფა სკოლამდელ დაწესებულებებში და სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელების ფიზიკური, გონებრივი განვითარებისათვის გარემოსდაცვითი ზოგადი ცოდნის ამაღლება.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

  2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 14 % გამოყოფილია პრიორიტეტის დაფინანსებაზე ანუ 4523,4 ათასი ლარი. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**4523,4**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2177,4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2062,1
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	224,3
05 04	საგამომცემლო საქმიანობა	59,6

სპორტის სფეროს განვითარება

პროგრამის ფარგლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდერება - პოპულარიზაცის მიზნით დაფინანსდება მიმდინარე პერიოდისთვის მოქმედი 4 სპორტული დაწესებულება, ესენია ა(ა)იპ "საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა", სადაც ცურვის ოსტატობას ეუფლება 300-მდე მოზარდი; (ა(ა)იპ ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება", სადაც ფუნქციონირებს 11 სპორტის მიმართულება, ესენია: ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ქალთა ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი, ჭადრაკი, მკლავჭიდი, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, სადაც სპორტის სახეობებს ეუფლება 600-მდე ბავშვი; ა(ა)იპ - რაგბის კლუბი ვეფხვები, ირიცხება 120 მოზარდი; შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი, ირიცხება -230 მოზარდი; მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა სპორტული ინვენტარის შეძენა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისთვის, პრიზების შეძენა ფალავნების დასაჯილდოვებლად, წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოვება (წახალისების წესის შესაბამისად), საგარეჯოელი სპორტსმენების მივლინება საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებზე, სხვადსხვა ტურნირების ჩატარება. პროგრამა ითვალისწინებს არსებული სპორტული მოედნების და დარბაზების რეაბილიტაციას, შეკეთებას და ახლის მშენებლობას, ტრენაჟორების მოწყობას.

კულტურის სფეროს განვითარება

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ,,საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის



სამუსიკო სკოლა", სადაც დაწყებითი საფორტეპიანო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას ეუფლება 200-მდე მოსწავლე; ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება, ესენია: კულტურის სახლი , ტექნიკური სამსახური , საგარეჯო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გიორგი ლეონიძის სახლ.მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა , სამი სასოფლო ბიბლიოთეკა , ხუთი- სასოფლო კლუბი, ვასილ მჭედლიშვილის სახელობის ხალხური სიმღერის

და საგალობლების სახელოსნო, ანსამბლი ბერიკაცები, ვოკალური ანსამბლი, უდაბნოს

ქორეოგრაფი, ხელოვნების სკოლა, გაერთიანებაში ირიცხება 400-მდე მოზარდი. კულტურის ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამით განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სარეაბილიტაციო პროექტების შესყიდვა და ზოგადად კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით სხადასხვა ღონისძიებები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური განახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას და მოტივაციის გაზრდას, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაციას და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდას.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა

პროგრამით დაფინანსებულია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების

(ეთნიკური უმცირესობა,სოციალურად დაუცველები,ეკომიგრანტები, შშმ პირები) საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, წარმატებული და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, წახალისება, თავისუფალი დროის სწორად გამოყენების.

საგამომცემლო საქმიანობა

პროგრამით ფინანსდება შ.პ.ს. "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე", რომელიც პერიოდულად, თვეში ორჯერ გამოსცემს გაზეთს და აწვდის მოსახლეობას ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 8,5 % გამოყოფილია პრიორიტეტის დაფინანსებაზე ანუ 2769,3 ათასი ლარი. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

05 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**2769,3**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	290,4
06 02	სოციალური დაცვა	2478,9

ჯანმრთელობის დაცვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში პროგრამით

ფინანსდება ა(ა) იპ საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. აგრეთვე გათვალისწინებულია ადგილზე სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით სოფელ უდაბნოს ამბულატორიის ექიმის ხელფასის დაფინანსება.

სოციალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს:

1. პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ოჯახებში ახალდაბადებული ბავშვების დახმარება ერთჯერადად 450 ლარის, ხოლო სხვა დასახლებაში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის 400 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღებია პირველი და მეორე შვილი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს მიეცემათ ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, რომელებსაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მაინც არის 18 წლამდე ასაკის. ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე დახმარება განისაზღვრება დამატებით 100 ლარით.

დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.

3. ბავშვთა კვების პროგრამა - სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეს და ნორმალურ ზრდა განვითარებას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ემუქრება საფრთხე ყოველთვიურად კვების პროგრამა დაუფინანსდებათ 150 ლარამდე თანხით. ფენილკეტონურიით ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა და შშმ პირთა სპეციალიზირებული საკვები დანამატებით დახმარებისთვის ლიმიტის ამოწურვამდე გაიცემა 500 ლარამდე თანხა.

4. უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა -ა)უდედმამო 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, ბ) დედით ან მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.

5. შშმ. 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა მოხდება 100 ლარის ოდენობთ ყოველთვიურად.

6. შშმ. პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა -ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და 18 წლამდე შშმ ბავშვთა და სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის რეაბილიტაციის თანხის დაფინანსება 500-დან -1000 ლარამდე, ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურების დაფინანსება 500 ლარამდე თანხით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული

სარეიტინგო ქულა 120 000-ის ჩათვლით. პროგრამის მოსარგებლეებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ერთი დახმარება. სერვისის მიწოდებისთვის ასანაზღაურებელი თანხა, არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ღირებულებას, გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაცია დაფინანსება 400 ლარით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით, დ) შშმ პირების დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო კურსის დაფინანსება 1000 ლარამდე თანხით, ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების გაცემა მოხდება 100 ლარის ოდენობთ ყოველთვიურად. ვ) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი ,,სინერგია 2019“ -ის კომუნალური ხარჯები დაფინანსდება 2000 ლარით,ზ) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული ააიპ გეორგიანელის ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსდება 20000 ლარით, თ) კლინიკა ,,ლაიფი“-ის ბაზაზე არსებული შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის კომუნალური ხარჯების დაფინანსება 15000 ლარით.

7. **მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა** -საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარება. (ვისაც ყავს 18 წლამდე შვილი ან შვილები) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.

8. რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - ა)საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებზე, რომლებზეც განხორციელდება რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მათ ოჯახებს გაეწევა ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით, ბ)სახელმწოფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, შესაბამისი ორგანოდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, გ) ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, დ) ოჯახების დახმარება, რომელთაც ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან პირები და შეუწყდათ საარსებო შემწობა განმეორებით გადამოწმების შედეგად.

9. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენის პროგრამა -სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა. ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, რაც დამოკიდებულია ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, ე) თვითმართველობის სოციალური მუშაკის მიერ შესწავლილი ოჯახების გაძლიერება, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე და ფულადი დახმარების გაცემა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე.

10. სამკურნალო და საოპარაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა -„ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000 დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული, დევნილი პირების, 18 წლამდე ასაკის პირებს, ასაკით პენსიონერი პირების და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პირების, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირების (ნებისმიერი ტიპის) სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 80 %-ით არაუმეტეს 1500 ლარისა. აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, ხოლო 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფებისათვის 600 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 90%-ით არაუმეტეს 1500 ლარისა, ხოლო 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, რომლებიც ამავდროულად არიან ასაკით პენსიონერი ან შშმ პირის სტატუსის მქონე, ასევე 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 16

წლამდე ბავშვს, სამკურნალო საოპერაციო 1500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაუფინანსდება 100% ით. აღნიშნულ პირებს სადიაგნოსტიკო კვლევების თანხა 1000 ლარამდე დაუფინანსდება ასევე 100 %-ით, ბ. ა) მე -5 მუხლის მე-10 პუნქტის ,,ა'' და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან თუ აჭარბებს 3000 ლარს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აჭარბებს 4000 ლარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აჭარბებს 5000 ლარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით, გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირთა, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, დევნილ პირთა, 18 წლამდე პირთა, ასაკით პენსიონერ პირთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირთა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირთა, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირთა სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 700 ლარამდე სრულად, ხოლო შვიდასი ლარიდან ზევით თანხის 50 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა, დ) სამედიცინო დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება უსინათლოთა ხელჯოხები, ხმოვანი წნევის აპარატები, სოციალურად დაუცველი (100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა) და ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის, ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების თანხები. ზემოთჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, სამას ლარზე მეტი თანხის შემთხევაში, ბენეფიციარი ერთჯერადად დაფინანსდება 500 ლარით. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების ყოველთვიური დაფინანსება. არაუმეტეს 120 ლარისა. (საჭიროების მიხედვით). 18 წლამდე შშმ ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თვეში არაუმეტეს 50 ლარისა (საჭიროების მიხედვით).

11. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა -ა) ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარებს მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ ლიმიტის ამოწურვამდე 2000 ლარამდე თანხით, ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციართა, შშმ. პირთა, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ და დევნილ პირთა, 18 წლამდე პირთა ასაკით პენსიონერთა, გულ-სისხლძარღვთა დაავდების მქონე, შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე და ეპილეფსიით დაავადებულ

პირთა, ფენილკეტონურიით, ან სხვა იშვაითი დაავადების მქონე პირთა, მედიკამენტებით დახმარება ხორციელდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 800 ლარამდე თანხით, ბ.ა) ქრონიკულად მიმდინარე და ნაკლებად მძიმე დაავადების დიაგნოზის მქონე პირებში მედიკამენტების თანხის ოდენობა 400 ლარით განისაზღვრება. გამონაკლის შმეთვეევაში თანხა გაიცემა წელიდადში ორჯერ 300-300 ლარის ოდენობით ჯამში არაუმეტესე 600 ლარისა, ბ.ბ) სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე ბენეფიციარისთვის, ჯანმრთელობის და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მედიკამენტების თანხის ლიმიტი წელიწადში 800 ლარს შეადგენს. გაიცემა ორჯერადად 400-400 ლარის ოდენობით.

12. ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა -ა) ონკოლოგიური ავადმყოფების სტაციონარული, ამბულატორიული, პალიატიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება, ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება განისაზღვრება მოთხოვილი თანხის 90%-ით, არაუმეტეს 1500 ლარისა (3000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე). ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსდება განისაზღვრება სრულად ან და ლიმიტის ამოწურვამდე. თუ ონკოლოგიური ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის მოცულობა 3000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 3000 ლარს აჭარბებს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 4000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 5000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით, ბ) სხვა სიმსივნული დაავადების მქონე პირებს სამედიცინო დახმარების გაწევა განისაზღვრება დაუფინანსებელი თანხის 70 % ით, არაუმეტეს 1000 ლარისა; სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება თანხის 50% არაუმეტის 800 ლარისა, გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 2000 ლარამდე თანხით ლიმიტის ამოწურვამდე. (საჭიროებისამებრ ერთჯერადად ან მრავალჯერადად ლიმიტის ამოწურვამდე)

13. ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა - ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის

თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება 150 ლარით, თანხის ჩარიცხვა ხდება ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში.

14. ელექტროენერგიის და გაზის საფასურის გადასახადის დაფინანსების პროგრამა -ა) სოციალურად დაუცველი (100 001 სარიტინგო ქულა) ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ან გაზის ღირებულების დაფარვა განხორციელდება ყოველთვურად, დახმარების მისაღებად მოქალაქე განცხადებით მომართვის დროს ირჩევს დახმარების ტიპს, **ა**.ა) მარჩენალდაკარგული ოჯახის დახმარება, სადაც არის 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაუფინანსდება - 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, ა. **ბ**) მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაუფინანსდება – 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, ა.**გ)** შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წელამდე ასაკის) და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახებს ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადი დაუფინანსდება– თვეში 10 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, ა.**დ**) რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახები დაფინანსდება - 10 ლარის ოდენობით სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, **ა.ე)** მრავალშვილიანი ოჯახების, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და აქედან 2 მაინც არის არასრულწლოვანი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაუფინანსდება 15 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, ა.**ვ)** სოციალურად დაუცველი ოჯახებს გაზის ან ელექტრო ენერგიის ღირებულება დაუფინანსდებათ (სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000-ის ჩათვლით) თვეში 10 ლარის ოდენობით.

15. მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა -სოციალურად დაუცველ ოჯახებს, (100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე პირებს (120 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულამდე) ერთჯერადად მიეცემათ საშეშე მერქნის შესაძენი თანხა 100 ლარის ოდენობით.

16. სოციალურად დაუცველი მოწყვლად ჯგუფებისთვის სადღესასწაულოდ საკვების გაცემის პროგრამა - სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სადღესასწაულოდ საკვები ამანათების გადაცემა განხორციელდება შერჩეულ სამიზნე ჯგუფებზე. დახმარების მისაღებად მოქალაქე მიმართავს სამსახურს და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ხორციელდება დახმარების მიმღებთა სიაში ბენეფიციარის მონაცემების შეტანა.

17. მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა -ა) სოფელი უდაბნოდან (კვირაში ორჯერ) ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება მთელი წლის განმავლობაში (დაფინანსება მოხდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად), ბ) დახმარების პროგრამით გამიზნული აქტივობების (სოციალურად დაუცველი ოჯახების უფასო ტრანსპორტირება სხვადასხვა კლინიკაში სკრინინგ პროგრამების ჩასატარებლად, ასევე პანდემიის დროს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის აუცილებელი საკვების და საყოფაცხოვრებო საშუალებების სპეციალური ამანათების შესყიდვა–განაწილების ტრანსპორტირების განხორციელება.

18. ხანდაზმულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამა -95 წელს მიღწეული ხანდაზმულთათვის გაიცემა ერთჯერადი თანხა 300 ლარის ოდენობით.

19. უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯის გაცემის პროგრამა -უპატრონო მიცვალებულების, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე, ლტოლვილის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა და ხანდაზმულთა სათემო სახლში მცხოვრები მიუსაფარი პირების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარდაცვლილი არაიდენტიფიცირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახის გარდაცვლილი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვისთვის დახმარება გაიცემა 500 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 000-ის ჩათვლით, სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის შემთხვევაში დაკრძალვის სარიტუალო ხარჯი ერიცხება სოციალურად დაუცველ ოჯახის წევრს).

20) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მერიის ბალანსზე არსებული შენობა-თავშესაფრების დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მცხოვრები პირებისთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

21. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა-სტიქიით ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ასევე, მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის და ძალადობის ან/და ტრეფიკინგის მხვერპლთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ბავშვთა

ზრუნვის პროგრამის ფარგლებში ბინის ქირით უზრუნველყოფა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ბინის ქირის უზრუნველყოფა ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ ორი ან ორზე მეტი შშმ პირი. დახმარება განისაზღვრება თითოეულ კატეგორიაზე 105.27 ლარით. ქირით უზრუნველყოფა მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ძალადობის ან ტრეფიკინგის მხვერპლთათვის გაიცემა ექვსი თვის განმავლობაში.

22. უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება -ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დაფინანსება. დახმარება გაიცემა ყოველდღიურად საკვების სახით, სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარებისთვის.

23. ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა -ა) საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაიცმა 500 ლარის ოდენობით, ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახის დახმარებისთვის თითოეულ ოჯახზე გაიცემა 500 ლარი, გ) დიდი სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯებით დახმარებისთვის გაიცემა 500 ლარი ფულადი საჩუქარი სადღესასწაულოდ, 500 ლარი დაკრძალვის სარუტუალო ხარჯისთვის (აქედან 250 დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტიდან).

24. წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა -წითელი ჯვრის საგარეჯოს ფილიალი ,,ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის“ ბაზაზე აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროებებისა და იძულებით გადაადგილებული პირების, სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანული თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციციატივების განვითარების მიმართულებით.

25. სტუდენტებსთვის სწავლის საფასურის დაფინანსების პროგრამა - სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს რომლსაც ყავს ორი სტუდენტი, სოციალურად დაუცველ დედით ან მამით ობოლ, სოციალურად დაუცველ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე შვილთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდნეტებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული

შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი ან მშობლები ან და ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (სარეიტინგო ქულა 100 000) უმაღლეს საგამანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება განისაზღვრება 1000 ლარამდე თანხით.

26. მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა -პროგრამით გათვალისწინებული დახმარება ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპულის ოჯახის დახმარებას , პროგრამა მრავალწლიანია , რადგან დახმარება უნდა გაიცეს იმ დრომდე, ვიდრე გარდაცვლილს ექნებოდა მის კმაყოფაზე მყოფ პირთა რჩენის ვალდებულება.

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**

  2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 20,8 % გამოყოფილია პრიორიტეტის დაფინანსებაზე ანუ 6806,1 ათასი ლარი. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

0100	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6806,1**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6095.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	711.1

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა

პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ხარჯები.

საერთო დანიშნულების ხარჯები

დაგეგმილია სარეზერვო ფონდიდან და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულებების დაფარვა.

თუ გსურთ გაიგოთ უფრო მეტი და დაწვრილებით, მაშინ ეწვიეთ ვებ – გვერდს http://sagarejo.gov.ge/meria/sajaro-informacia.